

# GC აღმანახი

*№5 / მაისი, 2020 წ.*



## სარჩევი

დაკარგა თუ არა პრეზიდენტ მაკრონის პარტიამ უმრავლესობა პარლამენტში?.....	3
პოსტპანდემიური კრიზისის დასაძლევად საფრანგეთი და გერმანია ევროკავშირს ერთობლივ ინიციატივას სთავაზობს.....	4
კოვიდ-19-ის პანდემიის შედეგების დასაძლევად ამერიკის მიერ საქართველოსთვის გაწეული დახმარება.....	6
სამხრეთ ჩინეთის ზღვაში რამდენიმე ქვეყანა სამხედრო წვრთნებს მართავს.....	9
ახალი ევროპული ძირითადი საბრძოლო ტანკი .....	11
სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებები 2004-2008 წლებში საქართველოში ადამიანის უფლებების დარღვევის შესახებ.....	12

ლიკა ჭიპაშვილი, „ჯეოქეისი“-ს მკვლევარი

## დაკარგა თუ არა პრეზიდენტ მაკრონის პარტიამ უმრავლესობა პარლამენტში?



მიმდინარე წლის 19 მაისს ცნობილი [გახდა](#), რომ საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის პარტიამ - „წინ, რესპუბლიკა“ პარლამენტში აბსოლუტური უმრავლესობა დაკარგა. კერძოდ, მმართველ პარტიას გამოეყო 17 დეპუტატი, რომელიც ახალ საპარლამენტო ჯგუფს ჩამოაყალიბებს სახელწოდებით „ეკოლოგია - დემოკრატია - სოლიდარობა“. რიგით მე-9 ახალი საპარლამენტო ჯგუფი მიზნად ისახავს მეტ ფოკუსირებას ეკოლოგიისა და სოციალური უთანასწორობის საკითხებზე. აღნიშნული საპარლამენტო ჯგუფი, რომელიც თავს არ მიიჩნევს არც უმრავლესობის და არც ოპოზიციის რიგებში, მისი განცხადებით,

დამოუკიდებელი იქნება. საპარლამენტო არჩევნებიდან თითქმის 3 წლის თავზე, პრეზიდენტ მაკრონის პარტიამ პარლამენტში, 17 დეპუტატის მმართველი პარტიიდან გასვლით, მართალია, უმრავლესობა დაკარგა - მას 577-წევრიან პარლამენტში უმრავლესობის (289 მანდატი) ფორმირებისთვის მხოლოდ 1 მანდატი აკლდება, თუმც, აღნიშნული დანაკარგი აბსოლუტურად სიმბოლური და დროებითია. კერძოდ, მმართველ პარტიას ეროვნულ ასამბლეაში ზურგს უმაგრებს ცენტრისტების 50-მდე დეპუტატი, ამასთან, ახლო მომავალში, უმრავლესობას დაემატება ის ერთი მანდატი, რომელიც ამა წლის მარტში, მუნიციპალურ არჩევნებში მონაწილეობის მიღების მიზნით, მმართველი პარტიის ერთმა დეპუტატმა დატოვა.

აღსანიშნავია, რომ ზოგადად ფრანგულ პოლიტიკურ პარტიებს შორის, დღეს, ყველაზე დიდი პოპულარობით „ევროპის ეკოლოგისტებისა და მწვანეთა პარტია“ (EELV) სარგებლობს და იგი საზოგადოებრივი ნდობის მზარდი მაჩვენებლით გამოირჩევა. მან მოსალოდნელზე კარგი შედეგები მიიღო 2019 წლის ევროპის საპარლამენტო არჩევნებზე, აგრეთვე, საფრანგეთის 2020 წლის მუნიციპალური არჩევნების I ტურში. საზოგადოებრივი აზრის ბოლო გამოკითხვების [თანახმად](#) კი, ფრანგული პოლიტიკური პარტიების ტოპ ხუთეული, რომლის თაობაზეც საზოგადოებას დადებითი მოსაზრება აქვს, შემდეგნაირად გამოიყურება:

- I „ევროპის ეკოლოგისტებისა და მწვანეთა პარტია“ (EELV) – გამოკითხულთა 54%-ს აქვს დადებითი მოსაზრება აღნიშნული პარტიის შესახებ;
- II სოციალისტური პარტი (PS) – 29%;
- III მმართველი პარტია „წინ, რესპუბლიკა“ (LREM) – 28%;
- IV მემარჯვენეთა - რესპუბლიკელთა პარტია (PR) – 26%;

- V უკიდურეს მემარცხენეთა პარტია „France Insoumise” (FI) – 22% / ცენტრისტების „დემოკრატიული მოძრაობა“ (MoDEM) – 22%.

### პოსტპანდემიური კრიზისის დასაძლევად საფრანგეთი და გერმანია ევროკავშირს ერთობლივ ინიციატივას სთავაზობს

მიმდინარე წლის 18 მაისს, საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერმა ანგელა მერკელმა ერთობლივი [ვიდეო-კონფერენცია](#) გამართეს, სადაც ევროკავშირის დონეზე პოსტპანდემიური კრიზისის დასაძლევად ფრანგულ-გერმანული ინიციატივა წარადგინეს. აღნიშნული [ინიციატივა](#), რომელიც ახალი კორონავირუსის პანდემიის კრიზისიდან გამოსვლისას „ერთიანი და სოლიდარული“ ევროპის იდეას ეფუძნება, მოიცავს ოთხ მიმართულებას. კერძოდ:

- **ევროპული ჯანდაცვის სისტემის სუვერენულობა** - აღნიშნული მოიცავს ევროპის ჯანდაცვის სისტემის გაძლიერებას ერთიანი ევროპული ფარმაცევტული თუ სამედიცინო სახის პროდუქციის მარაგების შექმნით, როგორცაა პირბადეები, ტესტები, შესაბამისი სამედიცინო აღჭურვილობა და ა.შ.; აგრეთვე, ევროკავშირის სივრცეში ზემოაღნიშნულის წარმოების განვითარების ხელშეწყობას; მოცემული მიმართულება, ასევე, გულისხმობს ერთიანი ევროპული კვლევების წარმოებას ევროკავშირში ანტივირუსის შექმნის მიზნით, რომლის მიღება შემდგომში შეეძლებათ ქვეყნებს მსოფლიო მასშტაბით;
- **მინიმუმ 500 მილიარდი ევროს ღირებულების ერთიანი ფონდის შექმნა**, რომელიც დაფინანსდება, ევროკავშირის სახელით, ბაზრებზე აღებული სესხებით. ფონდის ფარგლებში, შესაბამისი ფინანსური დახმარება გადანაწილებული იქნება პრიორიტეტულად პანდემიის შედეგად ყველაზე მეტად დაზარალებულ სექტორებსა და ქვეყნებზე არა სესხების, არამედ გრანტების სახით. ეს უკანასკნელი კი პრეზიდენტ მაკრონის განცხადებით, იქნება უპრეცედენტო მაგალითი ევროპული სოლიდარობისა;
- **ეკოლოგიური და ციფრული ტრანსფორმაცია** - გულისხმობს ე.წ. „მწვანე პაქტის“ განხორციელების მნიშვნელობის კიდევ ერთხელ დადასტურებას და იგი მიზნად ისახავს ევროკავშირის დამოკიდებულების შემცირებას საერთაშორისო ბაზარზე შიდა ევროპული ბაზრის მეტად გაძლიერების ხელშეწყობით; ამასთან, შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარებას კიბერუსაფრთხოების უზრუნველსაყოფად;
- **ეკონომიკური და ინდუსტრიული სუვერენიტეტი** - მიზნად ისახავს ერთიანი ევროპული ბაზრისა და შენგენის სივრცის ფუნქციონირების სრულად აღდგენას და ერთიანი ევროპული ბაზრის მეტი სუვერენულობის ხელშეწყობას.



The graphic features the flags of the European Union, Germany, and France at the top. Below them is the title: "Franco-German Initiative for European Economic Recovery following the Coronavirus Crisis". The graphic is divided into four columns, each with an icon and a description:

- Icon:** A cross inside a circle.
- Description:** Strategic sovereignty in the health sector - elaboration of an EU health strategy.
- Icon:** Two Euro banknotes.
- Description:** Establishment of an ambitious fund for economic recovery at EU level to foster solidarity and growth.
- Icon:** A hand holding a small plant with leaves.
- Description:** Acceleration of the Green Deal and digitalisation.
- Icon:** A crane lifting a box.
- Description:** Strengthening economic and industrial resilience and the sovereignty of the EU, while generating new impetus for the Single Market.

ფოტო: @FranceInSingapore

პოსტპანდემიური კრიზისის დაძლევის აღნიშნულმა ფრანგულ-გერმანულმა ინიციატივამ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში არაერთგვაროვანი დამოკიდებულება გამოიწვია, განსაკუთრებით, ევროკავშირის სახელით, ერთიანი ევროპული ფონდის - 500 მილიარდი ევროს ღირებულების ფონდის შექმნის იდეამ, რომელიც არა სესხების, არამედ გრანტების სახით უნდა იქნეს გადანაწილებული შესაბამის ქვეყნებსა თუ რეგიონებზე. თუკი სამხრეთ ევროპის ქვეყნები, მაგალითად, იტალია და ესპანეთი, რომლებიც პანდემიის შედეგად ყველაზე მეტად დაზარალდნენ, მიესალმებიან მოცემულ ინიციატივას, ნიდერლანდების სამეფო, დანია, შვედეთი, ავსტრია, ჯერჯერობით, წინააღმდეგნი რჩებიან. ევროპული კომისიის პრეზიდენტმა ურსულა ფონ დერ ლაიენმა კი აღნიშნული „კონსტრუქციულ ინიციატივად“ [შეაფასა](#). თავად ევროპული კომისია ევროკავშირის ანტიკრიზისულ გეგმას მიმდინარე თვის დასასრულს გააცნობს საზოგადოებას.

ფრანგულ-გერმანული ინიციატივის ერთიან ევროპულ ანტიკრიზისულ გეგმაში ასახვა, რომლის დიდი ალბათობა უკვე გამოიკვეთა, ევროკავშირის ჯანდაცვის მიმართულებით მეტ კომპეტენციას მიანიჭებს. „ჯანდაცვის ევროპის“ შექმნა კი საწინდარია ევროპის კონტინენტზე სამომავლოდ პანდემიების უკეთ მართვისა, ადამიანური თუ ეკონომიკური სახის დანაკარგების მაქსიმალურად შემცირებისა.

ხათუნა ბურკაძე, „ჯეოქეისი“-ს მკვლევარი

## კოვიდ-19-ის პანდემიის შედეგების დასაძლევად ამერიკის მიერ საქართველოსთვის გაწეული დახმარება



<https://www.ghn.ge/news/239017-heritage-foundation-ashsh-sakartvelos-urtiertobis-5-prioriteti>

COVID 19-ით გამოწვეულ პანდემიაზე რეაგირების თვალსაზრისით ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საქართველოს სხვადასხვა ტიპის დახმარება გაუწია.

საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის, კელი დეგნანის განცხადებით: „საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემა მარჯვედ ართმევს თავს ამ უპრეცედენტო კრიზისს. ამერიკა ათწლეულების განმავლობაში თანამშრომლობდა საქართველოსთან ძლიერი, მაღალი სტანდარტების პროფესიონალური ეროვნული ჯანდაცვის სისტემის ჩამოყალიბებისთვის, რის ფარგლებშიც მან 140 მილიონი დოლარის დახმარება გაუწია საქართველოს. აშშ ამავე სულისკვეთებით აგრძელებს დახმარებას, ახლა უკვე COVID-19-ით გამოწვეულ კრიზისზე რეაგირებისთვის“.

COVID-19-ის თანმხლებ გამოწვევებთან გასამკლავებლად USAID-მა დაახლოებით 2.7 მილიონი დოლარი გამოყო. ხოლო ამერიკის დაავადებათა კონტროლის ცენტრის დახმარება შეადგენს 3 მილიონ დოლარს, რაც მოხმარდება ინფექციის პრევენციასა და კონტროლს, დაავადების ზედამხედველობის ისეთ მიმართულებებს, როგორებიცაა: კონტაქტების კვლევა, ტექნიკური დახმარება მზადყოფნისთვის და საზოგადოებასთან კომუნიკაციის გაუმჯობესება.

ამასთანავე, ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის საფრთხის შემცირების სააგენტომ საქართველოს \$500 000-მდე დოლარის ღირებულების პერსონალური დაცვის აღჭურვილობა გადასცა. აღნიშნულ აღჭურვილობას გამოიყენებს ჯანდაცვის სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო, სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორია.

ამერიკის შეერთებული შტატები თანამშრომლობს საქართველოს მთავრობასთან, რათა ხელი შეუწყოს საჭირო საჯარო სერვისების გაძლიერებას, ასევე, ვირუსის გავრცელების შემცირების მიზნით, მხარს უჭერს მეწარმეებს ინოვაციური მიდგომების დანერგვაში. ამასთანავე, ამერიკული მხარე ურთიერთობს კერძო კომპანიებთან სამედიცინო საშუალებების მიწოდების უზრუნველსაყოფადაც. ის ეხმარება ადგილობრივ სამოქალაქო საზოგადოებას, განსაკუთრებით რისკის ქვეშ მყოფ თემებს, ხანდაზმულ და შშმ პირებს, ეთნიკურ უმცირესობებს.

ამერიკის სავაჭრო პალატამ მილიონობით ლარი გადარიცხა COVID-19-ის წინააღმდეგ ბრძოლის ფონდში. ამერიკის სავაჭრო პალატის წევრმა კომპანიებმა გადაავადეს სესხები, საჩუქრად გადასცეს ტესტის კომპლექტები, პერსონალური დამცავი აღჭურვილობა და ტექნოლოგიები დისტანციური სწავლების პლატფორმებისთვის.

ამერიკის შეერთებული შტატები მხარს უჭერს საქართველოს ეკონომიკის აღდგენას, განსაკუთრებით მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების, სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის სექტორის მიმართულებებით.

ასოციაციამ სამხარეო განვითარება მომავალი საქართველოსთვის (RDFG), რომელსაც მხარს უჭერს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროგრამა, საქართველოს გადაუდებელი ოპერატიული მართვის სამსახურს სავსე საკოსპიტალო კარვები გადასცა. ხსენებული კარვები გამოიყენება რისკის შემცველ რეგიონებში, რაც ხელს შეუწყობს პანდემიის პირობებში ქართველი ხალხის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფას.

პანდემიის დასრულების შემდეგ, ამ კარვებს გამოიყენებს სახანძრო და სამაშველო დეპარტამენტის ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული ინციდენტების რეაგირების განყოფილება. ეს საქართველოს გადაუდებელი ოპერატიული სამსახურის მზადყოფნისა და რეაგირების შესაძლებლობებს გააუმჯობესებს.

ამერიკის შეერთებული შტატების სოფლის მეურნეობის დეპარტამენტმა, „სურსათი პროგრესისთვის“ პროგრამის ფარგლებში, მიიღო გადაწყვეტილება საქართველოსთვის 27 000 ტონა მაღალი ხარისხის ხორბლის გადაცემის შესახებ, რათა დაეხმაროს ქვეყანას პანდემიის დროს. ეს დაემატება 27 000 ტონა ხორბალს, რომელიც საქართველომ 2019 წლის დეკემბრის თვეში მიიღო.

ასევე, ამერიკის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტი 18 მცირე საგრანტო შეთანხმებას ხელს მოაწერს. 400 000 დოლარის ოდენობის საგრანტო შეთანხმების მიზანია ხორცის, რძის პროდუქტისა და ფერმერთა სექტორის გაძლიერების მხარდაჭერა და სურსათის უსაფრთხოების სტანდარტების გაუმჯობესება.

საქართველოს პარლამენტში საქართველოს მთავრობასთან USAID-ის საგრანტო განხორციელების ხელშეკრულების ცვლილებების რატიფიცირება მოხდა. ცვლილებების მიხედვით, USAID/საქართველო 64 მილიონზე მეტ დოლარს გამოყოფს, რაც ხელს შეუწყობს საქართველოს ეკონომიკურ განვითარებას და ევრო-ატლანტიკურ მისწრაფებებს. ასევე, USAID-ი მხარს უჭერს ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას; ხელს უწყობს საქართველოს გარე საფრთხეებისგან თავის დაცვას.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ, USAID-ის ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამის მეშვეობით შესაფუთი ყუთები შეიძინა ერთი მილიონი ადგილობრივად წარმოებული სამედიცინო ნიღბების დისტრიბუციისთვის საქართველოში.

კოვიდ-19-ის პანდემიის შედეგების დასაძლევად ამერიკის მიერ საქართველოსთვის გაწეული დახმარება ცხადყოფს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოსთვის კრიზისის პერიოდშიც უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული პარტნიორია. ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოს გვერდით დგას და შეაქვს მნიშვნელოვანი წვლილი პანდემიის თანმხლები ჯანდაცვითი, ეკონომიკური, სოციალური და სხვა გამოწვევების დასაძლევად. ამერიკის დახმარების პაკეტი მოიცავს ყველა მოწყვლად ჯგუფს, რაც კიდევ უფრო ხელშესახებს ხდის მის მხარდაჭერას უშუალოდ საქართველოს მოსახლეობისთვის. ცნობისთვის უკანასკნელი 26 წლის განმავლობაში ამერიკელი ხალხის მიერ USAID-ის მეშვეობით საქართველოს პროგრამებისთვის გაღებული დაფინანსება 1.5 მილიარდ აშშ დოლარს აღემატება. USAID-ის პროექტები მიზნად ისახავენ საქართველოს დახმარებას თავისუფალი და წარმატებული დემოკრატიის მშენებლობაში; ეკონომიკური შესაძლებლობების შექმნაში; ჯანდაცვისა და განათლების გაუმჯობესებაში. ყოველივე ეს მიანიშნებს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერა საქართველოს მიმართ ურყევია როგორც მშვიდობიან, ისე კრიზისის პერიოდშიც.

წყაროები:

<https://ge.usembassy.gov/ka/dtra-donates-500000-in-personal-protective-equipment-to-assist-georgias-response-to-covid-19-may-18-ka/>

<https://ge.usembassy.gov/ka/ambassador-degnans-opening-remarks-during-her-virtual-press-conference-may-20-ka/>

<https://ge.usembassy.gov/ka/handover-of-field-hospital-tents-to-the-emergency-management-service-of-georgia-may-15-ka/>

<https://ge.usembassy.gov/ka/message-from-ambassador-kelly-degnan-new-u-s-support-for-georgias-response-to-covid-19-may-8-ka/>

<https://ge.usembassy.gov/ka/usaids-statement-on-development-agreement-amendments-april-24-ka/>

<https://ge.usembassy.gov/ka/usaids-partnering-with-enterprise-georgia-to-combat-covid-19-ka/>



გიორგი ანთაძე, „ჯეოქეისი“-ს მკვლევარი

### სამხრეთ ჩინეთის ზღვაში რამდენიმე ქვეყანა სამხედრო წვრთნებს მართავს



ფოტო <https://www.spacewar.com>

გლობალური პროცესების ფონზე სამხრეთ ჩინეთის ზღვაში არსებული სიტუაცია განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

ორი ჩინური ავიამზიდი ტაივანის ახლოს წყლებში სამხედრო წვრთნებში მიიღებს მონაწილეობას რომელიც აგვისტოში გაიმართება.

ორივე ავიამზიდი ერთად იქნება დისლოცირებული ყვითელი ზღვის ბოჰაის ყურეში საბრძოლო მზადყოფნის შესამოწმებლად. სწავლება შეიძლება მოიცავდეს ტაივანის კუთვნილი დონგაშას ან პრატას კუნძულებზე იერიშის სიმულაციებს, როგორც ამას ტაივანური და ავსტრალიური მედიასაშუალებები წერენ.

კუნძულები შედგება სამი მარჯნის მცირე კუნძულისგან რომელთაც ტაივანი აკონტროლებს. ზოგადად ჩინეთს გაცხადებული აქვს პრეტენზია მთელს სამხრეთ ჩინეთის ზღვაზე, მიუხედავად რეგიონის სახელმწიფოების პროტესტისა.

როგორც არასამთავრობო ორგანიზაცია „აშშ-ის საგარეო ურთიერთობების საბჭოს“ ბოლო ანგარიშში ვკითხულობთ: „აშშ-ს ინტერესია რეგიონში ჩინეთის ექსპანსიის პრევენცია და სავაჭრო კომუნიკაციებზე თავისუფალი დაშვების უზრუნველყოფა რომელიც გლობალური ვაჭრობისათვის უმნიშვნელოვანესია“. გარდა ამისა, ანგარიშის მიხედვით, აშშ-ისთვის სამხედრო ესკალაციის რისკის შემცველია მისი სამხედრო დახმარების ხელშეკრულებები ისეთ ქვეყნებთან მაგალითად როგორც ფილიპინებია. „აშშ-ს და ჩინეთს შორის სამხედრო კონფრონტაციის რისკები მომდევნო 18 თვის განმავლობაში გაიზრდება“- ასეთია ორგანიზაციის დაკვირების შედეგი რეგიონში მიმდინარე პროცესებზე.

მსგავსი სწავლებები ჩინეთის მხრიდან ყვითელ ზღვაში მაისის განმავლობაში მუდმივად ტარდებოდა, რომლის დროსაც ჩინური ავიამზიდები აზიის სანაპიროს გარემოში მოძრაობდნენ. მიუხედავად იმისა, რომ მომავალში დაგეგმილი მსგავსი წვრთნების შესახებ ჩინეთის მხრიდან არ გაკეთებულა ჯერ განცხადებები, აღნიშნულმა მოქმედებებმა სერიოზული შეშფოთება გამოიწვია მალაიზიას, ფილიპინებსა და ავსტრალიაში.

სწორედ ამ პროცესების საპასუხო ნაბიჯად უნდა განვიხილოთ აშშ და სინგაპურის ხომალდების ერთობლივი წვრთნები გასულ კვირას სამხრეთ ჩინეთის ზღვაში, იმ ტერიტორიაზე რომელიც ჩინეთს მის კუთვნილ წყლებად აქვს გამოცხადებული. ამასთან ერთად ორმა ამერიკულმა მძიმე ბომბდამშენმა B-1B მისიები განახორციელა სამხრეთ ჩინეთის ზღვაში 26 მაისს. მისიის მიზანი იყო შემოწმებულიყო ბომბდამშენების უნარი შეასრულონ მისიები ყველგან სადაც საერთაშორისო სამართალი ფრენის ნებას იძლევა.

ცხადია, რომ გლობალურად ჩინეთსა და აშშ-ს შორის ურთიერთობების დინამიკა პირდაპირ პროპორციულად აისახება აღნიშნულ რეგიონში არსებულ ვითარებაზე და აღნიშნული ტენდენცია მომავალშიც გაგრძელდება.

წყაროები:

[https://www.spacewar.com/reports/Chinas\\_planned\\_military\\_exercise\\_in\\_South\\_China\\_Sea\\_worries\\_neighbors\\_999.html](https://www.spacewar.com/reports/Chinas_planned_military_exercise_in_South_China_Sea_worries_neighbors_999.html)

<https://twitter.com/PACAF/status/1266557240334409728>

## ახალი ევროპული ძირითადი საბრძოლო ტანკი



ფოტო: MGCS-ის კონცეფციის და მისი მხარდაჭერი საბრძოლო მანქანის ილუსტრაცია კომპანია „ნექსტერის“ მიერ

დიდი ხანია ევროპის მასშტაბით ერთობლივი მსხვილი სამხედრო სამრეწველო პროექტი არ განხორციელებულა. ამ გზაზე, ახალი ევროპული ძირითადი საბრძოლო ტანკის შექმნა ახალი ნაბიჯი იქნება ევროპული სამხედრო-სამრეწველო კომპლექსისათვის, რომლის გამოსაცოცხლებლად რამდენიმე ნაბიჯი გასულ წლებში იქნა უკვე გადადგმული გერმანიისა და

პირველ რიგში საფრანგეთის მიერ ემანუელ მაკრონის თაოსნობით.

გერმანიამ და საფრანგეთმა ერთობლივად დაიწყეს ახალი ძირითადი საბრძოლო ტანკის მოთხოვნების ჰარმონიზაციის პროცესი, რომელსაც ამ წუთას „ძირითადი სახმელეთო საბრძოლო სისტემის“ სახელით ვიცნობთ. ‘Main Ground Combat System’ (MGCS). მომავლის პერსპექტიულმა მანქანამ უნდა ჩაანაცვლოს ბუნდესვერის შეიარაღებაში მყოფი ლეოპარდ-2 და საფრანგეთის შეიარაღებაში მყოფი „ლეკლერკის“ ტიპის ტანკები საორიენტაციოდ 2035 წლიდან. გერმანიის წინამძღოლობით MGCS-ის პროგრამა ერთ-ერთია მიმდინარე პროგრამაა ორიდან, რომელიც გერმანიასა და საფრანგეთს შორის ერთობლივად ხორციელდება, მეორე პროგრამა გულისხმობს მომავლის საჰაერო საბრძოლო სისტემის Future Combat Air System (FCAS)-ის შექმნას, რომელშიც წამყვანი როლი საფრანგეთს აქვს და მასში გერმანია და ესპანეთიც მონაწილეობს.

ახალი ძირითადი საბრძოლო ტანკის წინაშე რამდენიმე მოთხოვნა არის დადგენილი. მათ შორის: ორივე არმიის ოპერატიული მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, ასევე ელექტრონული მართვის ეროვნულ სისტემებთან სრული ჰარმონიზაცია.

2019 წლის დეკემბერში გერმანულმა და ფრანგულმა კომპანიებმა, კრაუს-მაფერნმა, ნექსტერმა და რეინმეტალმა ერთობლივი სამუშაო ჯგუფი ჩამოაყალიბეს. გასულ თვეში დაიწყო საბრძოლო სისტემაზე მუშაობის პირველი ფაზა, რომლის ხარჯებს 150 მილიონი ევროს მოცულობით თანაბრად გაინაწილებენ გერმანული და ფრანგული მხარეები. დაწყებული 2028 წლიდან, შესყიდვების ფაზას დიდი ალბათობით კურირებას გაუწევს თავდაცვის აღჭურვილობის ევროპული თანამშრომლობის ორგანიზაცია (European cooperative defense equipment organization – OCCAR).

წყარო:

[https://defense-update.com/20200525\\_mgcs.html](https://defense-update.com/20200525_mgcs.html)

ოლეგ (ბაჩო) თორთლაძე, „ჯეოქეისი“-ს მკვლევარი

## სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებები 2004-2008 წლებში საქართველოში ადამიანის უფლებების დარღვევის შესახებ



ფოტო: <https://www.coe.int/en/web/tbilisi/europeancourtofhumanrights>

2019 წლის მაისში ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქართველოსთან დაკავშირებით ორ საქმეზე მიიღო გადაწყვეტილება: [მეგრელიშვილი v. საქართველო](#) და [კლდიაშვილი v. საქართველო](#). საქმეები შეეხება 2004-2008 წლებში ადამიანის უფლებების ევროპული კონვენციის დარღვევებს. მეგრელიშვილის საქმეში, სასამართლომ განმცხადებლის მიმართ სახელმწიფოს მხრიდან ჩადენილი, სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევა დაადგინა. საქმე ნარკოტიკულ დანაშაულთან დაკავშირებით აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ორგანოების მიერ პროცედურულ გადაცდომებსა და შესაძლო უკანონობას შეეხება. სასამართლოს შეფასებით 2007 წელს მოქმედი სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის(სოდ) თანამშრომლების მიერ ჩატარებული ოპერატიულ-საგამომიებო მოქმედებები და საქმესთან დაკავშირებული მასალები წარდგენილი ბრალდების სარწმუნოებას ეჭვქვეშ აყენებს. ევროპული სასამართლოს შეფასებით პროცედურული დარღვევები, ასევე, საქმის არაადეკვატური შესწავლა გამოძიებისა და სასამართლოს ეტაპზე, ამყარებს იმ მოსაზრებას, რომ

საქმის მთავარი ნივთმტკიცება - ნარკოტიკული საშუალება არ ეკუთვნოდა მეგრელიშვილს და ის მის მფლობელობაში სამართალდამცველების მანიპულაციის შედეგად აღმოჩნდა. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის, რომელიც მეგრელიშვილის უფლებებს იცავდა ევროპულ სასამართლოში, განცხადებით საქმე იმ პერიოდის სამართლებრივ პრაქტიკაში სტრუქტურული და სისტემური პრობლემების არსებობის დადასტურებაა.

საქმეზე ქადაგიშვილი v. საქართველო ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის, კერძოდ, არაადამიანური მოპყრობის აკრძალვის დარღვევა დაადგინა. ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით 2004-2007 წლებში მოსარჩელის მიმართ სასჯელადსრულების დაწესებულებაში არასათანადო მოპყრობამ, ასევე პატიმრობის არასათანადო პირობების არსებობამ და არაადეკვატურმა სამედიცინო მომსახურებამ შელახა ქადაგიშვილის ფუნდამენტური უფლებები. სახელმწიფოს პასუხისმგებლობა დაეკისრა კონვენციის 34-ე მუხლის დარღვევისთვისაც, რაც გულისხმობს ევროპული სასამართლოს მიერ დაკისრებული დროებითი ღონისძიების არასათანადო შესრულებას.

სტრასბურგის სასამართლო ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების მთავარი მონიტორია ადამიანის უფლებათა დაცვის მიმართულებით. სტანდარტები, რომლებიც სასამართლოს მართლმსაჯულებით დგინდება არ ეხება მხოლოდ ინდივიდუალურ საქმეებს, არამედ ქვეყნების სამართლებრივი სისტემების საგზაო რუკაა. ის, რომ ორივე საქმეში სახელმწიფოს მხრიდან ვალდებულებების დარღვევის განგრძობადობისა და განმეორებითობის ტენდენცია იკვეთება, რაც გადაწყვეტილებებში სხვა საქმეებზე მითითებითაც დასტურდება, განსაკუთრებით ყურადსაღებია, რამეთუ დემონსტრირებაა 2004-2008 წლებში არსებული სისტემური ხარვეზებისა. ცალკე აღნიშნას იმსახურებს ე.წ. ციხის ბუნტთან დაკავშირებით 2020 წლის 2 აპრილს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება საქმეზე კუხალაშვილი და სხვები v. საქართველო, რომელშიც სიცოცხლის უფლების პროცედურული და არსებითი დარღვევა დამტკიცდა. ამ ყოველივეს გათვალისწინებით, ნებისმიერი ასეთი გადაწყვეტილება სახელმწიფოსთვის სიგნალი უნდა იყოს არსებული და წარსული სამართლებრივი პრაქტიკის ფუნდამენტური გადახედვისა და ადამიანის უფლებათა ევროპულ პრიზმაში გააზრებისთვის.